Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№24, ივნისი, 2023

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციისთვის

(რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე)

მარიამ ბეინაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail:: mariam.beinashvili000@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

როგორც წესი, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა მისი საგარეო და შიდა პოლიტიკის წარმართვის განმსაზღვრელი ფაქტორია. შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საინტერესო საკვლევ საკითხს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ რეგიონში ომი მიმდინარეობს(იგულისხმება რუსეთ-უკრაინის 2022 წლის 24 თებერვალს გაგრძელებული ომი). როგორც გასული, ისე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში აღნიშნულ რეგიონში რუსეთის ფედერაციამ განახორციელა არაერთი სამხედრო ინტერვენცია. სწორედ, ამიტომ საინტერესოა, როგორ არის გამოხატული რუსეთის ოფიციალური პოზიცია მის სტრატეგიულ დოკუმენტებში შავი ზღვის შესახებ.

კვლევის მიზანია რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების საფუძველზე შევისწავლოთ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე, კვლევისთვის საინტერესოა შევისწავლოთ, თუ რა კავშირი არსებობს საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციებსა და რუსეთის სურვილს შორის- იყოს ჰეგემონი სახელმწიფო შავი ზღვის რეგიონში.

კვლევის შედეგების შეჯამებით დავასკვენით, რომ სტრატეგიულ დოკუმენტებში გამოვლინდა ოთხი ფაქტორი, რომლითაც შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციისთვის: საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, ტურიზმი და უსაფრთხოება. აგრეთვე, კვლევის შეჯამებისას გამოვლინდა, რომ აშშ-ს და NATO-ს ნებისმიერი სახის ინტერვენცია და დახმარება შავი ზღვის ქვეყნებისთვის რუსეთის ოფიციალური პოზიციიდან აღიქმება, როგორც მისი ცივილიზაციური როლისა და ეკონომიკური მდგომარეობის შელახვა. საქართველოსა და უკრაინაში დაწყებული სამხედრო ინტერვენციები განპირობებულია რუსეთის ჰეგემონობისკენ სწრაფვით.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის რეგიონი; სტრატეგიული დოკუმენტები; ოფიციალური პოზიცია; აშშ და NATO.

შესავალი

როგორც მიმდინარე, ისე გასული საუკუნის განმავლობაში, რუსეთის მიერ დაწყებული სამხედრო კონფლიქტებიდან აღსანიშნავია, 1991- 1993 და 2008 წლების რუსეთ- საქართველოს, 2014 და 2022 წლების რუსეთ- უკრაინის ომები. როგორც ვხედავთ, ძირითადი აქტორი ყველა დაპირისპირებაში არის რუსეთის ფედერაცია. ამასთანავე, ერთის მხრივ, შავი ზღვის რეგიონის ჩრდილო- დასავლეთ ნაწილს აკონტროლებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ ნაწილზე კონტროლის სურვილი აქვს რუსეთის ფედერაციას. თუნდაც, მიმდინარე საუკუნეში რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინის მიმართ განპირობებული იყო იმ ტერიტორიების დაუფლების სურვილით, რომლებიც განლაგებულია შავი ზღვის ზოლში. აღნიშნული ტერიტორიებია: საქართველოს ჩრდილო- დასავლეთ შავი ზღვისპირეთი, კერძოდ, აფხაზეთი და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ყირიმის ნახევარკუნძული. აგრეთვე, 2022 წელს გაგრძელებულ რუსეთ- უკრაინის ომში ძირითადი ინტერესი უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთისთვის არის ხერსონი, მარიუპოლი, დონეცკი, ლუგანსკი (სამხრეთ- აღმოსავლეთ უკრაინა), რომლებიც წარმოადგენენ შავ ზღვაზე გასასვლელ ნაწილებს.

2023 წელს „The New York Times“-ში გამოქვეყნდა სტატია ბენ ჰაბარდის თანაავტორობით, რომელშიც ჩვენივე აზრის საპასუხოდ ვკითხულობთ, რომ "ვლადიმერ პუტინისთვის ძალაუფლების მოპოვების ყველაზე წარმატებული მცდელობა იყო ყირიმის ოკუპაცია, ვინაიდან ამან გააძლიერა რუსეთის პოზიციები შავ ზღვაში" (Hubbard,B., Harman,G. (2023). Why The Black Sea is a Flachpoint Between Russia and The West. The New York Times). რუსეთის პოზიციების გაძლიერება შავ ზღვაში კი მისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ხსნის მისთვის ეკონომიკურ და ტურისტულ პოტენციალს.

გარდა ამისა, რუსეთის ეკონომიკის დიდი ნაწილი, სწორედ, მარცვლეულის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტზე დგას. ამისათვის კი მას ესაჭიროება საექსპორტო მარშრუტი, რომელიც შედარებით ნაკლებად ხარჯიანი იქნება და სწრაფად მოხდება მასზე ნედლეულის გადაზიდვა. ამის შესახებ ჯაკომო ბისკოსის კვლევაში ვკითხულობთ, რომ " შავი ზღვა მნიშვნელოვანი მარშრუტია რუსული ენერგო-რესურსებისთვის, ვინაიდან, 2019 წლის მონაცემებით, ევროპის ენერგო- რესურსების 25% რუსეთის მიერ იყო მიწოდებული"(Giacomo,B. (2019). Ukriane and Black Sea: Russian Geopolitical Problem, ResearchGate.).

საკვლევ ჰიპოთეზად კი დავისახეთ შემდეგი: რუსეთის მიერ დაწყებული ომი საქართველოსა და უკრაინაში განპირობებულია მისი სურვილით- იყოს ჰეგემონი სახელმწიფო შავი ზღვის რეგიონში და ფლობდეს უპირობო ეკონომიკურ პირველობას შავ ზღვაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავი ზღვის რეგიონი რუსეთის ფედერაციისთვის რამდენიმე კრიტერიუმის გამოა მნიშვნელოვანი. მაგალითისთვის, ევროპის კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ანალიტიკოსი ჯაკომო ბისკოსის კვლევაში ვკითხულობთ, რომ " ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთის სტრატეგიული ნაკვალევი შავი ზღვის აუზში ხელახლა ამოქმედდა, რომლის მთავარი მიზანია თავიდან აიცილოს დასავლეთის გაფართოება, რადგან მთავარი საფრთხე ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსიდან (NATO) მომდინარეობს" (Giacomo,B. (2019). Ukriane and Black Sea: Russian Geopolitical Problem, ResearchGate). აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთის მიერ გადადგმული სტრატეგიული ნაბიჯების მთავარი მიზანი არა მხოლოდ დასავლეთის გაფართოების შეჩერება, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ტურისტული თუ უსაფრთხოების სფეროს გათვლებია, რომლებიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. ვინაიდან, სწორედ, რუსეთის ფედერაციისთვისაა უმნიშვნელოვანესი, ჰქონდეს კონტროლი ნავთობისა და სხვა რესურსების მიმოსვლაზე, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ.

სწორედ ამიტომ, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, უზრუნველყოს, რომ სავაჭრო მიმოსვლის გზებმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გვერდი ვერ აუაროს რუსეთის ფედერაციას. ის ამით გააკონტროლებს სავაჭრო და ტურისტულ მიმოსვლებს. აღნიშნულის განხორციელება კი მას შეუძლია შავ ზღვაზე კონტროლით, ვინაიდან, უძველესი დროიდან შავი ზღვა არის მთავარი სტრატეგიული გამტარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, "შავი ზღვის რეგიონი (BSR) არის რუსეთის მთავარი სტრატეგიული საზღვაო დომენი ახლა და იქნება მომავალშიც. რუსეთს სჯერა, რომ შეუძლია თითქმის დაუსჯელად იმუშაოს შავი ზღვის რეგიონში, შექმნას და შემდეგ განავითაროს შესაძლებლობები კავკასიაში, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში და მის ფარგლებს გარეთ" (Bozhilov, Y., Sokolov, M., (2022), Classic and Hybrid Challenges in the Black Sea Region: Perspectives from Bulgaria, ResearchGate). აღნიშნულ კვლევაში მკვეთრად არის გამოხატული ის, რომ რუსეთი შავ ზღვაზე ჰეგემონიის მიზნით, ცდილობს განამტკიცოს საკუთარი ძალაუფლება ისეთ ქალაქებზე, რომლებიც უშუალოდ განლაგებულია შავი ზღვის სანაპიროზე.

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, რუსეთის ფედერაციას დღემდე არ აქვს უპირობო კონტროლი შავი ზღვის რეგიონზე, სწორედ, ამით აიხსნება ახალი სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს. " პუტინის გადაწყვეტილებას, გამოიყენოს ძალა და განახორციელოს უფრო ფართომასშტაბიანი შეტევა უკრაინაში, ვიდრე ეს იყო 2008 წელს საქართველოში და 2014- 2015 წელს დონბასში, სასოწარკვეთილების სუნი აქვს"- წერს ჯეფრი მანკოფი, CSIS- ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის უფროსი თანაშემწე. (Mankoff, J., Russia's War in Ukraine: Identity, History, and Conflict, (2022), CSIS). აღსანიშნავია, რომ ეს ომი ხდის აღნიშნულ კვლევას მეტად აქტუალურს, ვინაიდან ჩანს, რომ შავი ზღვის რკალში პოზიციების დაკარგვა ძალზედ დრამატულია რუსეთის ფედერაციისთვის და კერძოდ, მისი პრეზიდენტის- ვლადიმერ პუტინისთვის. მიმდინარე მოვლენების ანალიზისას თვალშისაცემია, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მკვეთრი აგრესია ემსახურება მილიტარისტული პლაცდარმების შექმნასაც ისეთ ადგილებში, როგორებიცაა საქართველო და უკრაინა. შავი ზღვის კონტროლი კი ავტომატურად ნიშნავს აზოვის ზღვის ტოტალურ კონტროლსაც, რომლის გარკვეული ნაწილი შემოსაზღვრულია უკრაინითა და რუსეთით და უერთდება შავ ზღვას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, პირველადი და მეორეული მონაცემების ანალიზი, ვინაიდან ჩვენი კვლევის სპეციფიკა მოითხოვს რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შესწავლას და მათ ანალიზს. კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგიით პირველწყაროდან შეგვიძლია მივიდეთ კვლევისთვის საჭირო მიგნებებამდე, ხოლო მეორეული წყაროების დამუშავება გვეხმარება პირველადი წყაროების ანალიზში.

კვლევის შედეგები

უპირველესად აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დოკუმენტების კვლევისას გამოიყო ოთხი ძირითადი სფერო, რომლითაც შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციისთვის. ეს ოთხი სფეროა: საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, ტურიზმი და უსაფრთხოება. დოკუმენტებში ოთხივე სფეროს მნიშვნელობაზე საუბრისას ხაზგასმით არის გამოყოფილი შავი ზღვის როლი.

საგარეო პოლიტიკა

2008 წლის 12 იანვარს დამტკიცებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ: "რუსეთი ინარჩუნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას NATO-ს გაფართოების მიმართ, განსაკუთრებით, უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების, ასევე, NATO-ს სამხედრო ძალის რუსეთის საზღვართან განლაგების მიმართ" (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2008, January,12), Retrieved June 5, from- http://en.kremlin.ru/supplement/4116). თუკი, გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსის (NATO) საზღვარი ძალზედ ახლოსაა რუსეთის ფედერაციის საზღვართან და აგრეთვე, შავი ზღვის დასავლეთ ნაწილის დიდ ტერიტორიას, სწორედ, ალიანსის წევრი სახელმწიფოები აკონტროლებენ (იხილეთ: სურათი 1), მართებული იქნება, ვიფიქროთ, რომ რუსეთის ფედერაციას სურს შეაჩეროს ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსის გაფართოება აღმოსავლეთით. აღნიშნული გამოხატავს რუსეთის დამოკიდებულებას შავი ზღვის მიმართ, ვინაიდან 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოში რუსეთმა დაიწყო აგრესიული ომი, რომელიც რუსეთის პოზიციიდან, არის ლოგიკური გაგრძელება იმავე წლის 12 იანვარს დამტკიცებული საგარეო პოლიტიკის კონცეფციისა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციები უკრაინასა და საქართველოში, ძირითადად განხორციელდა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, მათ შორის, საქართველოს ჩრდილო- დასავლეთ შავი ზღვისპირეთი, კერძოდ, აფხაზეთი და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ყირიმის ნახევარკუნძული. აგრეთვე, 2022 წელს დაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომში ძირითადი ინტერესი უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთისთვის არის ხერსონი, მარიუპოლი, დონეცკი, ლუგანსკი (სამხრეთ- აღმოსავლეთ უკრაინა) რომლებიც, წარმოადგენენ შავ

ზღვაზე გასასვლელ ნაწილებს.

სურათი 1. (წყარო : https://r.search.yahoo.com/_ylt=AwrErjxHLIJkv1k)

გარდა აღნიშნულისა, 2023 წლის 31 მარტის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ: "უკრაინის მიმართ აშშ-ს დახმარება არის მცდელობა რუსეთის დასუსტებისა, მათ შორის, ეკონომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების შელახვისა და კონსტრუქციული ცივილიზაციური როლის დაკარგვისა" (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2023, March,31), (CSP No. 229), Retrieved June 5, 2023, from- https://mid.ru/en/foreign_policy/fundamental_documents/1860586;). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ შავი ზღვის აუზში ნებისმიერი სახის დახმარება დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან რუსეთის ფედერაციისთვის აღიქმება, როგორც მისი დასუსტების მცდელობა.

2015 წლის საზღვაო დოქტრინაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის მიზანია "შავი ზღვის ფლოტის შესაძლებლობებისა და ძალოვანი სტრუქტურების გაუმჯობესება, მათი ინფრასტრუქტურის განვითარება ყირიმსა და კრასნოდარში" (Maritime Doctrine of the Russian Federation. (2015, July 17), (CSP No.1210), Retrieved June 5, from- https://dnnlgwick.blob.core.windows.net/portals/0/NWCDepartm). საერთაშორისო პოლიტიკაში აქტიური ჩართვისთვის შავი ზღვა კარგი დასაყრდენია. გარდა რუსეთის ეკონომიკური სარგებლისა,

რომელიც გამოიხატება, მაგალითად, ნავთობისა და ხორბლის ტრანზიტით შავი ზღვის გავლით, არსებობს რამდენიმე დეტალი, რომლის საფუძველზეც მკვეთრად აღვიქვამთ რუსეთისთვის შავი ზღვის მნიშვნელობას. მაგალითისთვის, რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ოკუპირებით უკრაინის შავი ზღვის სანაპირო ზოლი თითქმის გაანახევრა და ამავე დროს, გამოაცხადა სრული კონტროლი ყირიმის ნახევარკუნძულის წყალქვეშა რესურსებზე. სწორედ, ეს საკმაოდ მყარი პოზიციები რუსეთმა გამოიყენა იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ- ასადისთვის ანუ პირდაპირი მონაწილეობა მიეღო სხვა ქვეყნის პოლიტიკური ამინდის ფორმირებაში. ყირიმის საპორტო ქალაქ სევასტოპოლიდან მრავალი საზღვაო მოგზაურობა განხორციელდა ტარტუსში და სირიაში იმ მიზნით, რომ რუსეთის მთავრობა მარცვლეულითა და სხვადასხვა სამხედრო რესურსებით დახმარებოდა ბაშარ ალ- ასადის რეჟიმს (https://www.mei.edu/publications/russia-black-sea, ბოლო ნახვა: 22.04.2023). ეს ფაქტი კარგად მიგვანიშნებს, რომ შავი ზღვის ფლობა რუსეთისთვის ნიშნავს მსოფლიო პოლიტიკაში უფრო აქტიურ მონაწილეობას, რაც მისი გაძლიერების საფუძველი შეიძლება იყოს, რადგან ის პირდაპირ ასპარეზზე გადის საზღვაო გზით გარე სამყაროსთან. თანაც, ეს იმ დროს, როდესაც ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსის(NATO) საზღვაო ხომალდებს შავ ზღვაში ყოფნის ხანგრძლივობა შეზღუდული აქვს 1936 წლის მონტრეს კონვენციის(Montreux Convention) პირობების მიხედვით. ასევე, შავი ზღვის რეგიონზე კონტროლი რუსეთის ფედერაციას დააკავშირებს ხმელთაშუა ზღვასთან ანუ ისეთ სტრატეგიულ ქვეყნებთან, როგორებიცაა: ეგვიპტე, ისრაელი, ლიბია, თურქეთი.

ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ძლიერება ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა, ვინაიდან მას ექნება პირდაპირი კავშირი ევროპის ბაზართან, თანაც მაშინ, როდესაც ევროპის დიდი ნაწილი დამოკიდებულია რუსულ ნავთობსა და გაზზე, რაც მისთვის სასათბურე გეოეკონომიკურ პირობებს ქმნის. აქედან გამომდინარე კი, მას ექნება უფრო მეტი ძალა იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს "მთავარ მეტოქეებს" თანამედროვე რეალობაში, ესენია ევროპის კავშირი (Europian Union) და ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსი (NATO). ზემოთქმული სამხედრო ქმედებებიც საქართველოსა და უკრაინაში არის იმის მაჩვენებელი, რომ რუსეთის ფედერაცია მზად არის, გამოიყენოს სამხედრო ძალა იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაცია ევროპის კავშირსა და ჩრდილო- ატლანტიკურ ალიანსში.

ეკონომიკა

მეორე სფერო, რომელითაც შავი ზღვა მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციისთვის ეს არის ეკონომიკა. 2021 წლის მონაცემებით, რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 12.8 პროცენტი მოდის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტზე (https://www.statista.com/statistics/1314532/gdp-share-by-industry-russia/)ნავთობისა, Retrieved: June 10, 2023). ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტისთვის კი სტრატეგიულად ხელსაყრელია შავი ზღვის აუზის კონტროლი, რაც რუსეთის საზღვაო დოქტრინაში მკვეთრად ხაზგასმულია. კვლევისას

გამოიკვეთა, რომ 2015 წლის რუსეთის საზღვაო დოქტრინა მიზნად ისახავს "ეროვნულ და რეგიონთაშორის საზღვაო ცენტრების შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება მსხვილ აგლომერაციებზე, აგრეთვე, შავი ზღვა-ყუბანის და აზოვი- დონის საზღვაო კომპონენტების სასწრაფოდ გაუმჯობესებას ".(Maritime Doctrine of the Russian Federation. (2015, July 17), (CSP No. 1210), Retrieved June 5, from- https://dnnlgwick.blob.core.windows.net/portals/0/NWCDepartm). მსხვილ აგლომერაციებზე დაფუძნებული საზღვაო ცენტრების შექმნა შავ ზღვაში ძალზედ მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციისთვის შავი ზღვის გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. შავი ზღვის გავლით რუსეთის ფედერაციას ძალუძს მარტივად მოხვდეს ხმელთაშუა ზღვაში და შესაბამისად, წვდომა ჰქონდეს ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვან დასაყრდენ ობიექტებთან, მით უფრო, ევროპის დიდ ნაწილთან. ზემოაღნიშნული მეტად ამარტივებს ნავთობისა და ბუნებრივი აირის, აგრეთვე, მარცვლეულის ექსპორტზე გატანის პროცესს.

ამისათვის რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში ნახსენებია ყუბანი- შავი ზღვისა და აზოვი- დონის საზღვაო კომპონენტების განვითარება.(იხილეთ: სურათი 2) საზღვაო კომპონენტების განვითარება ამარტივებს რუსეთის ფედერაციის სიღრმიდან შავი ზღვისკენ გადაადგილებას და უზრუნველყოფს საექსპორტო პროდუქტის სწრაფ გადატანას შავ ზღვაში და შემდგომ ხმელთაშუა ზღვაში. აღნიშნულ შემთხვევაში კი ყირიმის ნახევარკუნძული თამაშობს უდიდეს სტრატეგიულ როლს, ვინაიდან სწორედ, ყირიმის ნახევარკუნძულთან იხსნება აღნიშნული საზღვაო კომპონენტები. ამრიგად, ყირიმის ფლობა რუსეთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური გათვლაა, რაც კარგად გამოჩნდა 2022 წლის 24 თებერვალს გაგრძელებულ რუსეთ- უკრაინის ომში, რომელშიც, სამიზნე წერტილები სამხრეთ- აღმოსავლეთ უკრაინის შავი ზღვისპირეთია.

სურათი 2 (წყარო: http://marinenavigationsoftware.wordpress.com)



რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ დოკუმენტებში კვლევის შედეგად გამოვლენილი მესამე სფერო არის ტურიზმი. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის ვრცელი ტერიტორიებიდან დიდი ნაწილი აუთვისებელი, სახნავ- სათესად და ტურისტულად გამოუყენებელი ტერიტორიებია, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ტურისტული გეგმებისთვის მნიშვნელოვანი ადგილია. ამასთანავე, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ცნობადობის დიდი წილი, სწორედ, ტურიზმის სფეროზე მოდის. ამიტომ რუსეთის ფედერაციისთვის ხელსაყრელია გაზარდოს საკუთარი ქვეყნის ტურისტული პოტენციალი შავი ზღვის სანაპირო ზოლის ხარჯზე. აღნიშნულს ვხვდებით რუსეთის 2015 წლის საზღვაო დოქტრინაშიც: "ჩვენი მიზანია ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარება, ყველაზე ცნობილი ზღვისპირა კურორტების გაუმჯობესება შავი ზღვის აუზში, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვა-აზოვის და ყირიმის პორტების ჩართვას ხმელთაშუა ზღვის მიმოსვლაში"(Maritime Doctrine of the Russian Federation. (2015, July 17), (CSP No. 1210), Retrieved June 5, from- https://dnnlgwick.blob.core.windows.net/portals/0/NWCDepartm). აღნიშნულში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციას ეს ნაბიჯი ხელს უწყობს შავი ზღვა- აზოვისა და ყირიმის პორტების აქტიურ ჩაბმას ხმელთაშუა ზღვასთან მიმოსვლაში. ხმელთაშუა ზღვის როლი არაერთხელ გამოიკვეთა ჩვენი კვლევის ფარგლებში და ეს განსაკუთრებით საინტერესოა ტურიზმის ჭრილში. სურათი 2-ზე კარგად არის ილუსტრირებული ტურისტული პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობა შავი და აზოვის ზღვებიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, რომელშიც მდებარეობს არაერთი მნიშვნელოვანი რეკრეაციული და ტურისტული ზონა.

სურათი 2 (წყარო: https://r.search.yahoo.com/_ylt=AwrFcOTCKoJkqOwEv)



უსაფრთხოება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის პერსპექტივიდან შავი ზღვა ერთგვარად გამყოფი წერტილია დასავლურ სამყაროსა და რუსეთის ფედერაციას შორის. სწორედ ამიტომ, გარდა სხვა სტრატეგიული

მნიშვნელობისა, შავი ზღვა მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. კვლევისას გამოვლინდა, რომ რუსეთს აქვს მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი მილიტარისტული გეგმები შავი ზღვის რეგიონში. კერძოდ, 2015 წლის საზღვაო დოქტრინაში აღნიშნულია: "რუსეთის ფედერაციის მიზანი არის კონკურენტუნარიანი საზღვაო გემების მშენებლობა, შერეული(საზღვაო- სამდინარო) სანავიგაციო ზონების გაუმჯობესება და შავი ზღვის შიდა საბორნე ტრანსპორტის განახლება". ასევე, კიდევ ერთი მიზანია გამოხატული შემდეგ წინადადებაში: "სამხედრო- პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რუსეთის ფედერაციის საზღვაო ძალების შავ ზღვაში მუდმივად ყოფნისთვის საფუძვლის შექმნა" (Maritime Doctrine of the Russian Federation. (2015, July 17), (CSP No. 1210), Retrieved June 5, from- https://dnnlgwick.blob.core.windows.net/portals/0/NWCDepartm). როგორც უკვე ვთქვით, ყუბანი-შავი ზღვისა და აზოვი-დონის საზღვაო კომპონენტების შექმნა რუსეთისთვის ეკონომიკურად მომგებიანია ნედლეულის გადაადგილების თვალსაზრისით, თუმცა 2015 წელს დამტკიცებული საზღვაო დოქტრინით ირკვევა, რომ აღნიშნული საზღვაო- სამდინარო მონაკვეთები მნიშვნელოვანი დასაყრდენი წერტილებია მილიტარისტული თვალისაზრისით. აგრეთვე, აღსანიშნავია "კონკურენტუნარიანი გემების" მშენებლობის მოტივი, ვინაიდან ისინი არა მხოლოდ საზღვრების დაცვისთვის, არამედ სამხედრო შეტევებისთვისაც იქნას გამოყენებული და კონკურენციას უწევდეს ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსის სამხედრო ხომალდებს შავ ზღვაში.

2020 წლის საზღვაო დოქტრინა ყურადღებას ამახვილებს ზემოთ აღნიშნულ სამდინარო- საზღვაო კომპონენტებზე(იგულისხმება შავი ზღვა- ყუბანისა და აზოვი- დონის კომპონენტები). რუსეთის ფედერაცია განსაზღვრავს შემდეგ მიზანს- " შავ ზღვაში შესაბამისი პირობების შექმნა საზღვაო კომპონენტების დასაყრდენად გამოყენებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტისა და საერთაშორისო უფლებების დაცვას შავ და აზოვის ზღვებში"(Морская доктрина Российской Федерации. (2022, 31 июля). (CSP No.512), Получено 5 июня). ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ NATO-ს და აშშ-ს მხრიდან შავ ზღვაში განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება რუსეთის მხრიდან აღიქმება მისი ცივილიზაციური როლისა და სუვერენიტეტის შელახვად, რის დასტურსაც წარმოადგენს აღნიშნული ამონარიდი რუსეთის საზღვაო დოქტრინიდან.

ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებზე საუბრისას შევნიშნეთ ყირიმის როლი, რომელიც გამოიკვეთა უსაფრთხოების კონტექსტშიც. 2020 წლის რუსეთის საზღვაო დოქტრინაში წერია, რომ რუსეთის ფედერაციის მიზანია "უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, აგრეთვე, სევასტოპოლის მთავარ ბაზად შენარჩუნება" (Морская доктрина Российской Федерации. (2022, 31 июля). (CSP No.512), Получено 5 июня). სევასტოპოლი არის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ- დასავლეთ ნაწილში, რომლის მთავარ სამხედრო ბაზად გამოყენება რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა და რომლის მილიტარისტული მიზნებისთვის გამოყენებაც რუსეთის ფედერაციას სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების შედეგად სურს, როგორც ეს თავად დოკუმენტშია აღნიშნული.

დასკვნა/კვლევის მიგნებები

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევამ პასუხი გასცა საკვლევ კითხვებს, რომლებიც კვლევის დასაწყისში დავსვით.

კვლევის შედეგების მიხედვით, შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში (კერძოდ, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია და რუსეთის ფედერაციის საზღვაო დოქტრინა) ვლინდება ოთხი სფეროს მიხედვით, ესენია: საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, ტურიზმი და უსაფრთხოება. აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პოზიციაში გამოიკვეთა, რომ რუსეთი წინააღმდეგია საქართველოსა და უკრაინის ჩრდილო- ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის და ამით ალიანსის ძალების შავ ზღვაში გაფართოების. კვლევის მიხედვით, გამოვლინდა ტენდენცია, რომ რუსეთის პოზიციიდან საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციები გამომდინარეობს მისი სურვილიდან- ჰქონდეს სრული კონტროლი შავ ზღვაზე. ამას ადასტურებს კვლევაში მოყვანილი არგუმენტებიც- რუსეთის სამიზნე ომის დროს არის შავი ზღვის მიმდებარე ზოლი საქართველოსა და უკრაინაში, ხოლო ამ ზოლზე რუსეთს აქვს გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც გაწერილია სტრატეგიულ დოკუმენტებში.

გამოყენებული ლიტერატურა

Bozhilov, Y., Sokolov, M., (2022), Classic and Hybrid Challenges in the Black Sea Region: Perspectives from Bulgaria, ResearchGate;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2008, January,12), Retrieved June 5, from- http://en.kremlin.ru/supplement/4116;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation(2013, February 12), (CSP No. 229), Retrieved June 5, 2023, from- https://www.voltairenet.org/article202037.html;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2016, December 1), (CSP No. 2232), Retrieved June 5, 2023, from- https://www.russiamatters.org/sites/default/files/media/files/Foreign%20Policy;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2023, March,31), (CSP No. 229), Retrieved June 5, 2023, from- https://mid.ru/en/foreign_policy/fundamental_documents/1860586;

Giacomo,B. (2019). Ukriane and Black Sea: Russian Geopolitical Problem, ResearchGate;

Hubbard,B., Harman,G. (2023). Why The Black Sea is a Flachpoint Between Russia and The West. The New York Times;

Mankoff, J., Russia's War in Ukraine: Identity, History, and Conflict, (2022), CSIS;

Maritime Doctrine of the Russian Federation. (2015, July 17), (CSP No.1210), Retrieved June 5, from - https://dnnlgwick.blob.core.windows.net/portals/0/NWCDepartm;

Морская доктрина Российской Федерации. (2022, 31 июля). (CSP No.512), Получено 5 июня; с- http://static.kremlin.ru/media/events/files/ru/xBBH7DL0RicfdtdWPol32UekiLMTAycW

http://marinenavigationsoftware.wordpress.com

https://www.mei.edu/publications/russia-black-sea

https://www.statista.com/statistics/1314532/gdp-share-by-industry-russia/)